

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი № 9

ქ.თბილისი

16.02.2018

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი ბურდული - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარე);

ელიზარ ელიზარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის თავმჯდომარე, ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე);

თეო ურუშაძე - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლის დეკანი, პროფესორი;

სოფიკო ლობჟანიძე - სსიპ -- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტთან არსებული დეპარტამენტის განათლების სკოლის ხელმძღვანელი;

გელა გელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი;

დიმიტრი ჯაფარიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე;:


ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

პაატა ბრეკაშვილი - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ კავკასიის ბიზნესის სკოლის სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების დეპარტამენტის დირექტორი;

გიორგი თურქია - ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორი;

ნატო გენგიური - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;

ნათელა სახოვა - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის გამგეობის წევრი;



ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

მაია გელაშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;

ანა ლელაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
არჩილ გერსამია - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ანანო გორგოძე - შეფასების სამსახურის უფროსი;
ნესტან ციციშვილი - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი;
მანანა გაბაშვილი - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
ხათუნა ბერაია - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციის უფროსი;
თეონა მატარაძე - პროგრამის ხელმძღვანელი;
თინა ჩხეიძე - ფსიქოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
თათია ქართლელიშვილი - პროგრამაში ჩართული პედაგოგი;
დავით წაქაძე - ხარისხის მართვის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში-ექსპერტები):


- ანა კირვალიძე
- ენდი ჭელიძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:52 საათზე.

სხდომას ესწრებოდა საბჭოს 12 წევრი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 272 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ირაკლი ბურდულმა.

სხდომის მდივნის ფუნქცია აკრედიტაციის დებულების 27² მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით დაეკისრა საბჭოს წევრს - ლევან გორდეზიანს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის



4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:


1. ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის - ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვის დღის წესრიგიდან მოხსნის თაობაზე.

თავმჯდომარემ გაიზიარა დაყენებული შუამდგომლობა და დაამტკიცა ახალი დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.



1. ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

საგანმანათლებლო დასახელება	პროგრამის	საბაკალავრო პროგრამა სოციოლოგიაში
განათლების საფეხური		ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდის მითითებით	კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის კოდის მითითებით	სოციოლოგიის ბაკალავრი 0706
სწავლების ენა		ქართული
კრედიტების რაოდენობა		240


საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა გიორგი თურქიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ ჰქითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტმა, ანა კირვალიძემ ისაუბრა ვიზიტის დროს გამოკვეთილ მირითად საკითხებზე, რომელიც ეხებოდა კურსების კატალოგებს, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა არჩევითი საგნების კურსებზე, რომელიბიც ფოკუსირებული იყო ფსიქოლოგიის მეცნიერებაზე და დიაპაზონი ინტერდისციპლინარულობისა დგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ. ამასთანავე, რეკომენდირებული იყო კალკულუსის კურსი სხვა საბაზისო კურსით ყოფილიყო ჩანაცვლებული. რეკომენდაცია იყო არჩევითი საგნების დიაპაზონის გაზრდა სხვა ინტერდისციპლინარული და მომიჯნავე საგნების დამატებით.

ექსპერტის განმარტებით, ის პუნქტი, რომელიც ეხებოდა მეთოდოლოგიას, ორგანიზებას და პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობას, შეესაბამებოდა სტანდარტს, თუმცა შენიშვნა არსებობდა მესამე პუნქტთან, რაც გულისხმობდა ბიბლიოთეკაში სოციოლოგიის უახლესი



არსებობდა რიცხვების პრობლემა, რომლის შესახებაც ექსპერტებს უნივერსიტეტისაგან განცხადებული ჰქონდათ, რომ სამომავლოდ აღმოფხვრიდნენ არსებულ პრობლემას.

ექსპერტის განცხადებით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიურ პერსონალს, რაც უშუალოდ უკავშირდებოდა პროგრამის მდგრადობას. ლექტორთა უმრავლესობა იყო მოწვეული, მათ შორის უშუალოდ სოციოლოგიის მიმართულებით, აკადემიურ ხარისხს ფლობდა ლექტორთა შეზღუდული რაოდენობა და ისინი არ წარმოადგენდნენ მოცემული უნივერსიტეტის პროფესორებს. ერთ-ერთი რეკომენდაცია უკავშირდებოდა შეფასების სისტემას, კერძოდ თუ როგორ ხდებოდა პროგრამის შეფასება. აღნიშნულის შესახებაც დოკუმენტაცია ვიზიტის განმავლობაში ექსპერტებს არ წარედგინათ. ექსპერტის განცხადებით რომ აღნიშნული საკითხი უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა ვიზიტის ფარგლებში მხოლოდ ზეპირსიტყვიერად განმარტეს. პროგრამის შეფასების საკითხში ნახსენები იყო ძირითადად შიდა შეფასება, აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის წარმომადგენლების მხრიდან. აქცენტი არ კეთდებოდა გარე ექსპერტების შეფასებაზე.


საბჭოს თავჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა ექსპერტს სთხოვა დაეკონკრეტებინა, თუ რას გულისხმობდა გარე ექსპერტში, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებისა და მდგრადობის თვალსაზრისით საჭიროა იქნებოდა გარდა შიდა შეფასებისა, განხორციელებულიყო გარე შეფასება მოწვეული ექსპერტების მიერ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ითვალისწინებდა თუ არა სტანდარტი აღნიშნული გარე შეფასების აუცილებლობას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა რომ რამდენადაც მას ინფორმაცია ჰქონდა, ითვალისწინებდა.

ექსპერტის განცხადებით ვიზიტის მიმდინარეობისას კითხვები გაჩნდა სასწავლო პროცესში დამსაქმებელთა ჩართულობის შესახებ. თუმცა საბოლოო ჯამში ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღნიშნული ხარვეზები გახლდათ დაძლევადი უნივერსიტეტის მიერ მოკლევადიან პერსპექტივაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პროგრამის ხელმძღვანელმა, გამოთქვა სურვილი გარდა ექსპერტების მიერ გაუდერებული საკითხებისა დამატებით ესაუბრა იმ ასპექტებზე, რომელიც ასახული იყო ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში, თუმცა ექსპერტების მიერ არ გამახვილებულა ყურადღება. პირველი პასუხი ეხებოდა პირველი სტანდარტის მიმართ არსებულ რეკომენდაციებს, რომელიც ეხებოდა დარგობრივი და მომიჯნავე კურსებით პროგრამის გამდიდრებას. მირითად საგნებში გარდა თეორიული და პრაქტიკული კურსებისა, შედიოდა სოციოლოგიის რვა დარგობრივი საგანი და დამატებით 7 კურსი, რომელიც რელევანტური იყო პროგრამისათვის. სოციოლოგიის, როგორც დარგის სიფართოვიდან გამომდინარე კამათი კურსების შესახებ შესაძლებელი იყო, რადგან სხვადასხვა კურსთან მიმართებაში სხვადასხვა დამოკიდებულება წამოიჭრებოდა. პროგრამა მოიცავდა იმ მირითად რვა კურსს, რომელიც შესაბამისობაში მოდიოდა თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემატიკასთან, იქნებოდა ეს პოლიტიკის სოციოლოგია, გნდერის სოციოლოგია, ურბანული სოციოლოგია და ა.შ. სტუდენტს შეეძლო აერჩია კურსები ასევე მომიჯნავე სფეროებიდან - პოლიტიკა, ეკონომიკა, საერთაშორისო ურთიერთობები და ფინანსები. რაც შეეხებოდა თვისებრივი მონაცემების ანალიზისა და დამუშავების უახლესი მეთოდების სწავლების ირგვლივ



არსებულ შენიშვნას, სოციოლოგის საბაკალავრო პროგრამაში იყო თვისებრივი კვლევის მეთოდების ორი ძირითადი კურსი - თეორიული და პრაქტიკული. ერთ შემთხვევაში დათმობილი იყო სამი შეხვედრა, ხოლო მეორეში - ორი. ამ კუთხით არსებობდა გარკვეული პრობლემები, რომელიც უნივერსიტეტის წარმომადგენლის განცხადებით განხილულ იქნა ექსპერტებთან ერთად და რაც გულისხმობდა იმას, რომ არცერთ უნივერსიტეტში, არც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში და არც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არ არსებობდა ლეგალური კომპიუტერული პროგრამა თვისებრივი კვლევის შედეგების დამუშავებისათვის. არსებობდა იდეა, რომ შესაბამისი პროგრამის შესყიდვა მომხდარიყო ერთობლივად.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული კომპიუტერული პროგრამის ღირებულებით.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, ხუთ კომპიუტერზე პროგრამის დაყენების საწყისი ფასი იქნებოდა 2500\$, ხოლო შემდგომი ყოველწლიური განახლებისას 1300\$.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, თუ რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმებოდა პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, პროგრამაზე იგეგმებოდა ოცამდე სტუდენტის მიღება.


დაწესებულების წარმომადგენელმა, ისაუბრა ასევე კურსებში მრავალფეროვანი ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ სილაბუსებში მაქსიმალურად იყო გათვალისწინებული ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გამოცემული უახლესი ლიტერატურა.

ექსპერტმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და განაცხადა, აღნიშნულ საკითხში იგულისხმებოდა ის, რომ ლიტერატურა ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მატერიალურად. ასევე მან აღნიშნა, რომ რიდერების შექმნას ჰქონდა თავისი სტანდარტი და არ შეიძლებოდა მთლიანი წიგნის რიდერში განთავსება. ამიტომ, ბიბლიოთეკაში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო წიგნები მთლიანი სახით და ელექტრონული ვერსიებიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, მათ გააჩნდათ თექვსმეტივე კურსის ლიტერატურის ელექტრონული ვერსია. ასევე იყო კურსები, რომელთა სიახლის გამოც ლიტერატურა ჯერ მზად ვერ იქნებოდა, მაგალითად ჯანდაცვის სოციოლოგია, რომლის წიგნიც თარგმნის პროცესში იყო. მან ხაზი გაუსვა რომ აღნიშნული კურსი შედიოდა მეოთხე კურსზე სწავლებაში, შესაბამისად დრო ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად საკმარისი იყო.

საბჭოს თავჯდომარე დაინტერესდა, თუ რით იყო განპირობებული ის მოცემულობა, რომ სოციალური მეცნიერებების და მათ შორის სოციოლოგის განხრით რიდერების საჭიროება იდგა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა არ განეკუთვნებოდა ისეთ ძველ დისციპლინას, როგორიც იყო მაგალითისათვის სამართალი. პირველი კურსდამთავრებულები სოციოლოგის პროგრამაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ჰყავდა 2001-2002 წლებში. იმ დროიდან მოყოლებული ლიტერატურა იყო რუსული, რომლით სარგებლობაც შეუძლებელი იყო ენობრივი კომპეტენციის არქონის



გამო. დაწესებულება ცდილობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა ბაზარზე არსებული ახალი ლიტერატურა, თუმცა აღნიშნული კუთხით პრობლემა გახლდათ ის, რომ ლიტერატურა ნაკლებად იწერებოდა სოციოლოგიის სფეროში. 1998 წელს გამოცემული წიგნი სოციოლოგიაში, დღეისათვის უკვე მოძველებული გახლდათ, ამიტომ წიგნების სერიოზული დანაკლისი არსებობდა ზოგადად ბაზარზე, განსაკუთრებით აღნიშნული ეხებოდა დარგობრივ სოციოლოგიას.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ოცი კურსიდან ცხრა კურსს კითხულობდა დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანი, თერთმეტ კურსს კითხულობდა დოქტორანტი და ამასთანავე უმრავლესობას გააჩნდა საზღვარგარეთ მიღებული ხარისხი. შესაძლოა აღნიშნული ხარისხი ყოფილიყო სოციოლოგიის მაგისტრის, თუმცა ისინი აგრძელებდნენ საკუთარ თავთან მუშაობას. პროფესორებს ჰქონდათ კვლევის ჩატარების პრაქტიკა. ერთადერთი მასწავლებელი, რომელიც არ იყო წარმოდგენილი პედაგოგიური პრაქტიკით იყო ჯანდაცვის სოციოლოგიაში, რაც გამომდინარეობდა დარგის სიახლიდან. რაც შეეხებოდა საერთაშორისო რეფერირებად უურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნებას, ეს იყო ზოგადი პრობლემა და მხოლოდ ერთი პროგრამა მას ვერ გადაჭრიდა. თუმცა 27-მდე პუბლიკაცია არსებობდა საერთაშორისო გამოცემებში სხვადასხვა პედაგოგის მიერ. ორი პედაგოგი, რომელსაც არ გააჩნდათ გამოცემები, საქმიანობდნენ პროგრამების - SPSS-ის სწავლებაში, რაც არ მოითხოვდა გამოცემების ქონას, რადგან ამ შემთხვევაში რელევანტური იყო პრაქტიკული გამოცდილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება შიდა შეფასების კომპონენტთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ შიდა შეფასება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში იყო მრავალკომპონენტიანი და მოიცავდა სტუდენტების მხრიდან ლექტორთა შეფასებას.

ექსპერტმა აღნიშნულ საკითხზე განაცხადა, რომ მათ ვიზიტის მიმდინარეობისას არ ჰქონდათ საშუალება სიღრმისეულად დაენახათ პროცესი, არ ჰქონდათ ნანახი შეფასების კითხვარები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა მხოლოდ გამოკითხვის შედეგები და ზეპირსიტყვიერად განემარტათ თუ რა მეთოდით ხორციელდებოდა გამოკითხვა.


საბჭოს წევრი, პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა, ეთანხმებოდნენ თუ არა დაწესებულების წარმომადგენლები მოსაზრებას, რომ მათ უნდა ჰქონოდათ ხარისხობრივი, იგივე თვისებრივი კვლევის მეთოდები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ თემატურად ეთანხმებოდნენ აღნიშნულ მოსაზრებას.

საბჭოს წევრმა პაატა ბრეკაშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეკონკრეტებინათ თუ რომელ სასწავლო კურსებში ჰქონდათ ინტეგრირებული თვისებრივი კვლევის საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსებში ზოგადად გათვალისწინებული იყო თვისებრივი კვლევის მეთოდები და თვისებრივი მეთოდების პრაქტიკა.

საბჭოს წევრი ირინე გოცირიძე დაინტერესდა, გათვალისწინებული იყო თუ არა პროგრამაში გარდა თეორიული სწავლებისა, პრაქტიკული კომპონენტი.



დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ SPSS-ის სწავლებამდე, ისწავლებოდა რაოდენობრივი მონაცემების დამუშავება და SPSS-ის წავლის ეტაპზე, სტუდენტს ჰქონდა ნედლი მონაცემები. ფორმატი გულისხმობდა აღნიშნული მონაცემების დამუშავების სწავლებას დესკრიფიული ანალიზით და ანალიტიკური ანალიზით. სტუდენტები მუშაობდნენ პერსონალურ კომპიუტერებთან.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ სთხოვა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს აქცენტირება მოეხდინათ ექსპერტთა დასკვნაზე აფილირებული პერსონალის ნაკლებობასთან დაკავშირებით და განემარტათ, იყო თუ არა აკადემიური პერსონალი საკმარისი იმისათვის რომ პრობლემა არ შექმნოდა პროგრამის მდგრადობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ბალანსი აღნიშნული კონკრეტული მიმართულებით, იხრებოდა მოწვეული პერსონალისაკენ, თუმცა აღნიშნული არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული პროგრამის ხარვეზად, ვინაიდან არ იკვეთებოდა კანონთან წინააღმდეგობა.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ნორმატიული ბაზის მიხედვით პროგრამის მდგრადობას განაპირობებდა აფილირებული პერსონალი და აქცენტის გაკეთება მოწვეულ პერსონალზე გახლდათ ერთგვარი რისკი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის მდგრადობა არ დადგებოდა კითხვის ნიშნის ქვეშ, რადგან უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ ასოცირებული პროფესორები, რომლებიც წარმოადგენდნენ პროგრამის ბირთვს, თუმცა ამასთანავე მათ ჰყავდათ მოწვეული პროფესორებიც, შესაძლოა მნიშვნელოვანი რაოდენობაც.


ექსპერტმა განაცხადა, აღსანიშნავი იყო ის გარემოება, რომ არცერთი აფილირებული პროფესორი არ იყო სოციოლოგი. ისინი წარმოდგენილნი იყვნენ ფსიქოლოგიდან და სხვა მომიჯნავე დარგებიდან. სოციოლოგთა უმეტესობა იყო მოწვეულ პერსონალს შორის.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა ჰქითხა ექპერტებს იმის თაობაზე, გაეცნენ თუ არა ისინი პროგრამის ბიუჯეტს, რაზეც ექსპერტმა უპასუხა რომ ბიუჯეტი ნათლად გაწერილი არ ყოფილა, იმდენად რამდენადაც სოციალურ მეცნიერებებზე გამოყოფილი იყო ერთიანი ბიუჯეტი და არ კონკრეტდებოდა რა წილი ერგებოდა ამ კონკრეტულ პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სკოლას ჰქონდა უფლება თავად განესაზღვრა როგორ გაენაწილებინა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები პროგრამების მიხედვით. მან აღნიშნა, რომ თანხები ცალკე იდო პროგრამის ბიუჯეტში და ცალკე კვლევის ბიუჯეტში, რომელიც ბოლო პერიოდში იქნა გაძლიერებული.

საბჭოს თავჯდომარემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანი იყო ახალი პროგრამის შექმნაში ჩართული ყოფილიყო შინაარსობრივი, საგნობრივი ცოდნის მატარებელი ხალხი, აკადემიური პერსონალი, რომელიც იქნებოდა ბირთვი პროგრამისა და რომელიც იმუშავებდა უნივერსიტეტში, იქნებოდა აფილირებული.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ის ადამიანები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროგრამის შემუშავებაში იყვნენ კვალიფიციურნი, ხოლო რაც შეეხებოდა უნივერსიტეტთან აფილირებას, რადგანაც პროგრამა იყო ჩამოყალიბების პროცესში, ამ საკითხის დახვეწა შესაძლებელი იქნებოდა. პროგრამის შემუშავებაში



მონაწილეობდა 8-9 ადამიანი, რომლებიც იყვნენ აკადემიური პერსონალი. რადგანაც ეს იყო ახალი პროგრამა, კონკრეტულად მოცემული დარგის პროფესორები შესაძლოა უნივერსიტეტს არ ჰყოლოდა, თუმცა პროფესორები იყვნენ მომიჯნავე დარგებიდან და მომავალში კადრების შევსება შესაძლებელი იქნებოდა კონკრეტულად სოციოლოგიის დარგიდანაც. დაწესებულების წარმომადგენელი თვლიდა, რომ არსებული მოცემულობის ფარგლებში პროგრამის მდგრადობას საფრთხე არ ემუქრებოდა.

ექსპერტმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, როდესაც ბიუჯეტი ნაწილობრივ ფინანსდებოდა სტუდენტების მიერ გადახდილი თანხით, იმ შემთხვევაში თუ პროგრამაზე არ მივიდოდა გათვალისწინებული ოცი სტუდენტი, რას მოიმოქმედებდა უნივერსიტეტი.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა პროგრამები რომლებიც პრიორიტეტული იყო და ზოგიერთ შემთხვევაში მათ პროგრამები დოტაციაზეც გაყავდა. მოთხოვნის შესწალის ფონზე, მათ არ ჰქონდათ საფუძველი ევარაუდათ რომ პროგრამაზე არ მივიდოდა სტუდენტთა საკმარისი რაოდენობა.

საბჭოს წევრი, დიმიტრი ჯაფარიძე დაინტერესდა, ხდებოდა თუ არა ბიუჯეტირება პროგრამულ დონეზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ხდებოდა, თუმცა დეტალურად მისი სხდომაზე შეუძლებელი იყო, ასევე ექსპერტების ვიზიტის განმავლობაშიც შეუძლებელი იყო აღნიშნულის განხორციელება.

16:45 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 17:41 საათზე.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ-საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.


კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 22-ე მუხლის მე-3² პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27⁵-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 27⁶ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს



საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო
პროგრამას 2 წლის ვადით მიენიჭოს პირობითი აკრედიტაცია.

საბჭოს თავჯდომარემ დამსწრე წევრებს მოახსენა, რომ საბჭოს მოთხოვნა იყო რომ
დაწესებულებას მოეხდინა შემდეგი პირობების უზრუნველყოფა: პროგრამის
მდგრადობის უზრუნველყოფა დარგის აკადემიური პერსონალის გაძლიერების
საფუძველზე, მოწვეულ პერსონალთან მოქმედი ხელშეკრულებების წარმოდგენა, და
დასკვნის 1.3 კომპონენტის მეორე რეკომენდაციის გათვალისწინება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ 17:45 საათზე
სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავჯდომარე:

ირაკლი ბურდული

მდივანი:

ლევან გორდეზიანი